საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

03/06/2025 N 89

თბილისი

შპს „მაგი კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, ,,სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ და ,,ვ“ ქვეპუნქტების და მე-7 მუხლის მე–9, მე-10 და მე-12 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეწყდეს შპს ,,მაგი კრედიტი”-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 402012665) სესხის გამცემი სუბიექტის ფილიალის საქმიანობის ნებართვა, მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N1;
2. ძალდაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,მაგი კრედიტი”-ს სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2019 წლის 11 მარტის N521 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი